



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31212721

თარიღი:29/09/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N14

ქ. ლანჩხუთი

27. 09. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნახაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ხათუნა ვადაჭკორია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ბიძინა იმნაიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

სხდომის დაწყებამდე საკრებულოს თავმჯდომარემ და სხდომის წევრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1993 წლის 27 სექტემბერს საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესახებ.

დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. „ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მასში ჩამავალი მდინარეებისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა - ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

8. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.

მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ ისაუბრა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №39 დადგენილებაში (ვებგვერდი, 27/12/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.112.016321) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით

დამტკიცებული დებულების მეხუთე მუხლის „ა“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მუნიციპალიტეტში შემოსული და ადგილზე შექმნილი დოკუმენტების აღრიცხვას;“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი
მიღებულ იქნა დადგენილება N 20 (27.09.2021)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ ისაუბრა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ**. მან განმარტა, რომ

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროს გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (ვებგვერდი, 29/03/2021; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016445) შევიდეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1.

ეს წესი განსაზღვრავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ პროცედურებს, აგრეთვე ამ წესის აღსრულების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომში სამსახური) მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებს.“

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი
მიღებულ იქნა დადგენილება N 21 (27.09.2021)**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებაში მიმდინარე წლის 29 ივლისის N1297 განკარგულებით შესული ცვლილებებით გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები შემცირდა 72448,88 ლარი და 88 თეთრი; მათ შორის რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ხარჯზე 67905 ლარით და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე 4543,88 ლარი და 88 თეთრით.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 თებერვლის NNN325 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები შემცირდა 21176 ლარით. საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების არაფინანსური აქტივების მუხლის 2300 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 2300 ლარით.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს მთავრობის 2021 წლის 4 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მიმდინარე წლის 09 აგვისტოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N187 ხელშეკრულებით სოფელ წყალწმინდის საჯარო სკოლის ეზოში განვითარებული მეწყერის გამაგრებითი სამუშაოებზე მიიძღრათა 70 000 ლარი.

გარე განათების მოხმარებული ელექტრო ენერჯის ღირებულების დაფინანსება უნდა გაიზარდოს 80 000 ლარით და მოხმარებული წყლის ხარჯი 15 000 ლარით, აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნეს ჯარიმების და საურავების გეგმის 95 000 ლარით ზრდის ხარჯზე.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წინადადებით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში არაფინანსური აქტივების მუხლის (კაპიტალური რემონტები) 20 000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 20 000 ლარით სკოლამდელ დაწესებულებაში ჰასკის პროგრამის დანერგვის მიზნით, ტენიანობის საზომი თერმომეტრების, ავეჯისა და სხვა ნივთების შესაძენად.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 17 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 22 (27.09.2021)**

ღღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მასში ჩამავალი მდინარეებისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ საზღვრებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის და მასში ჩამავალი მდინარეებისა და მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებისაგან გაწმენდის ხელშეწყობის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ“ ლანჩხუთისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებისა და შპს „მყარი ნარჩენების კომპანიის“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს. მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება შავი ზღვის სანაპირო ზოლისა და ზღვაში ჩამავალი მდინარეების მყარი ნარჩენებისაგან გასუფთავება, რაც მნიშვნელოვანია ზღვის ეკოსისტემის დაცვისათვის და ტურისტული პოტენციალის განვითარებისათვის.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა 17 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს წევრი, 17 წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N44 (27.09.2021)**

ღღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებამ. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტს განცხადებით მომართა საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა გიორგი პერტაიამ (კანც. N 04.302123930-30 27.08.2021 წელი) რომელშიც აღნიშნულია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შორის 2021 წლის 5 თებერვალს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გურიის რეგიონალური პალატისთვის გადაცემულია ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალიტეტის

საკუთრებაში არსებული -ს/კ 27.06.52.141 შენობიდან საოფისე ფართი N15-26,51 კვ.მ. აღნიშნული ხელშეკრულების ვადა იწურება 2021 წლის 31 აგვისტოს. სსკ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, გურიის რეგიონული პალატის სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის მოთხოვნილია ზემოთ აღნიშნული ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი იჯარის ფორმით გადაცემა და იჯარის ხელშეკრულების გაფორმება 2021 წლის 1 სექტემბრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს სამრეწველო სავაჭრო პალატას (ს/ნ 204852775) გადაეცეს იჯარის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქალაქ ლანჩხუთში ნინოშვილის ქ. N 37-ში მდებარე, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობის (ს/კ 27.06.52.141) მეორე სართულზე მდებარე 15 ფართი-26.51 კვ.მ. წლიური საიჯარო ფასის ოდენობა განისაზღვროს ფართის მთლიანი ღირებულების - 18 615 .3 ლარი -5% -ის ოდენობით -930.8 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა 17 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N45 (27.09.2021)**

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა - ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად. წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი. ამ პროექტის მომზადება გამოიწვია იმან, რომ მუნიციპალიტეტი ინვენტარიზაციის საკითხებს ხელმძღვანელობს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ბალანსზე რიცხულ) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებით, რომელიც მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა 17 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 46 (27.09.2021)**

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებია**მ. მან განაცხადა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პრივატიზაციის გეგმაში არსებული უძრავი ქონების - (სოფელ ჩოლობარგში მდებარე 1030 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 27.04.51.692) პრივატიზება, აღნიშნული ქონება ამოღებულ იქნეს საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და პრივატიზაციის გეგმიდან. ხოლო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას უნდა დაემატოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 27.06.48.261; 27.02.41.004; 27.09.50.282 და 27.06.53.289 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებული უძრავი ქონება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა 17 საკრებულოს წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 47(27.09.2021)**

8. სხვადასხვა

საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი დაინტერესდა ქალაქის ცენტრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებით და გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია ქალაქის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაც მოწესრიგდეს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ბიძინა იმნაიშვილმა განმარტა, რომ პარკებისა და სკვერების რეაბილიტაცია პრემიერმინისტრის განკარგულების საფუძველზე სრულდება და სამუშაოები აუცილებლად მთლიან ქალაქში განხორციელდება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე





გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

27 სექტემბერი 2021 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10 ⁰⁰	
2	ვლადიმერ ნანაძე	10 ⁵⁵	
3	ვერიკო კვიციანი	10.57	
4	ალექსანდრე მახათაძე	10 ¹⁰	
5	გიორგი ჩახვაძე	10 ⁵⁵	
6	გიორგი გვარჯალაძე	10.58	
7	ემზარ თევდორაძე		
8	ბესიკ კუპრაძე	10 ⁵⁷	
9	გოგი მორჩილაძე		
10	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	10 ⁴⁵	
13	კახა ბოლქვაძე	10:57	
14	ციცინო ჩხაიძე		
15	კარლო კვიციანი	10.55	
16	ზურაბ კუკულავა		
17	ოთარ პატიშვილი		
18	ირაკლი მარშანიშვილი		
19	იოსებ ჩხაიძე		
20	ელისო ჭიჭინაძე	10 ⁰⁰	
21	ამირან ქანთარია		
22	დავით ჩხარტიშვილი		
23	აკაკი იმნაიშვილი	10 ¹⁰	

24	ზაალ სანაძე	1055	
25	რევაზ კვერენჯილაძე	1055	
26	კახაბერ ასკურავა		
27	ამირან გიგინეიშვილი		
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე		
30	კახა თედორაძე	1035	
31	რეზო კვაჭაძე	1055	h. 
32	ვენე კვიციანი	1055	3. 